არასამეწარმეო (არაკომერციული) იურუდიული პირი

სახელმწიფო უნივერსიტეტი

კოლეგიური საბჭო

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებულია კოლეგიური

საბჭოს სხდომაზე

26.03.2012წ. ოქმი #**3**

კოლეგიური საბჭოს სპიკერი,

სრული პროფესორი **/ნუნუ გელდიაშვილი/**

თელავი, 2012

ა(ა) იპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კოლეგიური საბჭოს

დებულება

ზოგადი დებულებანი

1. კოლეგიური საბჭო (შემდეგში საბჭო) არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც აირჩევა სკოლების აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წარმომადგენლებისაგან არჩევნების საფუძველზე ცალკ-ცალკე, ამ ერთეულებზე კოლეგიური საბჭოს არჩევის მომენტში მათი რაოდენობის პროპორციულად:

2. საბჭოს წევრად აირჩევიან აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა წარმომადგენლები უნივერსიტეტის ფარგლებში საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ამ დებულებით განსაზღრული წესით.

3. საბჭოს წევრის არჩევის ვადა ემთხვევა ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობას;

4. **საბჭოს პრინციპებია:**

- გადაწყვეტილების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მხრიდან აზრის გამოხატვის თავისუფლება;
- თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესის, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;
- არჩევნების სამართლიანობა და გამჭვირვალობა, კონკურსის საჯაროობა;

5. საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებას, განცხადებას, წარდგინებას ხელს აწერს კოლეგიური საბჭოს სპიკერი;

6. საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;

7. საბჭოს დებულება განსაზღვრავს კოლეგიური საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესს, პროცედურას და სავალდებულოა ყველა წევრისათვის;

8. საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხს, რომელიც მოწესრიგებული არ არის დებულებით, საბჭო წყვეტს დადგენილებით;

9. საბჭოს დებულებაში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება კოლეგიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

10. საბჭოს დებულება ძალაში შედის მისი საჯაროდ გმოქვეყნებისთანავე.

11. საბჭოს ადგილსამყოფელია უნივერსიტეტის I კორპუსი (თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა #1), II სართული.

საბჭოს უფლებამოსილება

1. საბჭო ამ კანონის შესაბამისად:

ა) ირჩევს საბჭოს სპიკერს;

ბ) შეიმუშავებს უნივერსიტეტის წესდებას აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;

გ) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

დ) ამტკიცებს უნივერსიტეტის გერბს, დროშას და ჰიმნს აკადემიური საბჭოს წარდგინებით.

ე) ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით:

- დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს _ რექტორის აპარატს _ რექტორის წარდგინებით;
- დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს _ ადმინისტრაცის ხელმძღვანელის აპარატს _ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ვ) ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულების დებულებებს.

ზ) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას რეგენტთა საბჭოს წარდგინებით;

თ) აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

ი) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშს;

კ) იხილავს უნივერსიტეტის ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით და დასამტკიცებლად წარუდგენს რეგენტთა საბჭოს;

ლ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვევითი პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს აკდემიური საბჭოს წარდგინებით;

მ) ამტკიცებს სასწავლო-დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ნ) ამტკიცებს სკოლებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ო) ისმენს აკდემიური საბჭოს წლიურ ანგარიშს;

პ) იღებს გადაწყვეტილებას სკოლების შექმნის, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ აკადემიური საბჭოს წარდგინების საფუძველზე;

ჟ) ამტკიცებს სკოლის სტრუქტურასა და დებულებას სკოლის საბჭოს წარდგინებით;

რ) რეგენტთა საბჭოს წარუდგენს უნივერსიტეტის განვითარების ფონდის დირექტორის კანდიდატურას და, შეთანხმების შემდეგ, ნიშნავს ფონდის დირექტორს;

ს) ამტკიცებს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ;

ტ) ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

უ) უნივერსიტეტს უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოლეგიური საბჭოს გადაწყვეტილებით რეგენტთა საბჭოსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ფ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საბჭო ბიუჯეტის დამტკიცების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოველწიური ანგარიშის დასამტკიცებლად გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიური საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოში ფაკულტეტის წარმომადგენელთა მინიმალური ოდენობა არ შეიძლება იყოს 3-ზე ნაკლები.

2. საბჭოს შემადგენლობაში შედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

3. საბჭოს არჩევა ხდება უნივერსიტეტის ფარგლებში საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

4. საბჭოს უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

5. სტუდენტები შეადგენენ კოლეგიური საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტ-პროფესორი, რომელიც არის დოქტორანტი, არჩევნებში მონაწილეობს, როგორც სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.

6. პროფესორისა და სტუდენტის საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: უნივერსიტეტთან მისი შესაბამისი აკადემიური ან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა; სამზე მეტი სხდომის არასაპატიოდ გაცდენის შემთხვევაში საბჭოს მიერ მის მიმართ გამოტნილი გადაწყვეტილება.

7. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით, მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში, უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ, ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად ამავე ვადით.

8. საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.

9. საბჭო რეგლამენტით გათვალისწინებული და სხვა გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტის მიზნით, საბჭოს სპიკერის გადაწყვეტილებით, ქმნის დროებით კომისიებს,

კომისია ამზადებს საკითხებს და განსახილველად გამოაქვს საბჭოს სხდომაზე. დროებით კომისიაში შესაძლებელია შევიდეს როგორც საბჭოს წევრი, ისე, საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული ექსპერტი.

საბჭოს სპიკერი

1. საბჭოს სხდომების ჩატარებას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს სპიკერი, რომელსაც ირჩევს საბჭო თავისი რიგებიდან 4 წლით.

2. სპიკერი აკონტროლებს საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას და შედეგების შესახებ ინფორმაციას აწვდის საბჭოს.

3. სპიკერის არ ყოფნის შემთხვევაში სხდომის ჩატარებას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს საბჭოს უხუცესი წევრი.

4. საბჭოს სპიკერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება;

საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული

უზრუნველყოფა

1. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საბჭოს მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.

საბჭოს მუშაობის წესი

1. საბჭოს თავმჯდომარეობს სპიკერი;

2. საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ, ან საჭიროებისამებრ. სპიკერს შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით ან წევრთა **1/3**-ის მოთხოვნით მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა;

3. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

4. სპიკერს შეუძლია სხდომის მიმდინარეობა გარკვეული დროით შეაჩეროს ან საერთოდ შეწყვიტოს, თუ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები აქტუალური აღარ არის, ამოწურულია ან მოუმზადებელია.

5. საბჭოს მდივანი კოლეგიური საბჭოს სპიკერთან შეთანხმებით, ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელიც წინასწარ გადასცემს საბჭოს წევრებს;

6. საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც მდივანს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 დღისა;

7. საბჭოს სპიკერი სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

8. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საერთო შემადგენლობის **2/3.** გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

9. კანონით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია (ხელის აწევა და სიის ამოკითხვა).

10. საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის **1/3**-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ;

11. კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება;

12. ფარული კენჭისყრის გამართვისას დგინდება ბიულეტენების ფორმა. ბიულეტენები ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს;

13. ბიულეტენების შევსებისას საბჭოს წევრი გადახაზავს მისთვის არასასურველი კანდიდატის გვარს და დატოვებს მხოლოდ იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც მხარს უჭერს. თუ ბიულეტენში მხოლოდ ერთი გვარია შეტანილი, მისთვის ხმის მიცემა

გამოიხატება გვარის შემოხაზვით, ხოლო მიუცემლობა _ მისი გადახაზვით. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევით შევსებული ბიულეტენი ბათილად ითვლება.

14. კოლეგიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება კოლეგიური საბჭოს მდივნის მიერ კოლეგიური საბჭოს ოქმით და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით _ გადაწყვეტილებით.

კოლეგიურ საბჭოს შიდაურთიერთობებისათვის გააჩნია ბეჭედი.

ოქმი მოიცავს:

- სხდომის თარიღს;
- დაწყების დროსა და ადგილს;
- სხდომის წევრებისა და მოწვეულ პირთა სიას;
- დღის წესრიგს;
- სიტყვით გამომსვლელთა ტექსტსა და მიღებულ დადგენილებას;
- განსახილველ საკითხზე წერილობითი განმარტებები გადაეცემა მდივანს ოქმის დანართის სახით.

15. ოქმს ხელს აწერს საბჭოს სპიკერი და მდივანი;

ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება კოლეგიური საბჭოს ბეჭედი.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი /ნუნუ გელდიაშვილი/